

10) 2014-2015 წლებში შესყიდული ავტომობილების სია - ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას ავტომობილები არ შეუძენია.

11) 2014-2015 წლებში ახალი ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტომობილების ჩანაცვლებას ადგილი არ ჰქონია.

12) 2014-2015 წლებში განთავისუფლებულ თანამშრომელთა რაოდენობა და განთავისუფლების მიზეზები:

ა) 2014-წლის 21 ოქტომბერს პირადი განცხადების საფუძველზე, სამსახურიდან განთავისუფლებული იქნა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ერეკლე დოხნაძე.

ბ) 2015 წლის 09 იანვარს საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30-ე მუხლის მეორე ნაწილის, 34-ე მუხლის და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო საატესტაციო კომისიის 2014 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, სამსახურიდან განთავისუფლებულნი იქნენ: ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხებში წამყვანი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ირმა ქურციკიძე; ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის წამყვანი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ავთანდილ ხიდურელი; ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ლევან ხუციშვილი.

გ) 2015 წლის 12 იანვარს საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 34-ე მუხლის და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო საატესტაციო კომისიის 2014 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების თანახმად, სამსახურიდან განთავისუფლებული იქნა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაკრებლების, ადმინისტრირების, კონტროლისა და ქონების მართვის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი მანანა ლომთაძე.

დ) 2015 წლის 02 ივნისს „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30-ე მუხლის მეორე ნაწილის, 34-ე მუხლის და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო საატესტაციო კომისიის 2015 წლის 15 მაისის გადაწყვეტილების თანახმად, სამსახურიდან განთავისუფლებული იქნა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის წამყვანი სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ლომინაძე.

13) 2014-2015 წლებში დასაქმებული თანამდებობის პირების სამუშაო გამოცდილების (CV) შესახებ ინფორმაცია - ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის 10

თანამდებობის პირზე თან ახლავს. „11“-ფურცლად.

14) 2014-2015 წლებში ხელმძღვანელის მრჩეველის თანამდებობაზე დანიშნული პირი არ გვყავს.